საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

19/05/2023
N 900

900-09-02-11-3-202305191723

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშზე“

• რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების შედეგების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარმოდგენილია ვადაში.

• უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 7 აპრილის N5 ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით შესრულების ანგარიში განსახილველად გადაეცა უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს, ფრაქციებს და უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს.

ანალიზი

I.რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შეადგენდა - 481 509,7 ათას ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა - 441 970,0 ათასი ლარი, გეგმის 91,8 პროცენტი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (307 361,8 ათასი ლარი) შედარებით შემოსულობების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 134 608,2 ათასი ლარით, ანუ 43,8 პროცენტით.

მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადის გეგმა შეადგენდა - 350 000,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა - 377 682,2 ათასი ლარი, გეგმის 107,9 პროცენტი;

გრანტების გეგმა განისაზღვრა 309,7 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 40,2 ათასი ლარი, შესრულებულია გეგმის 13,0 პროცენტი.

სხვა შემოსავლების გეგმა შეადგენდა -12 500,0 ათას ლარს, ხოლო შესრულებამ შეადგინა 9 668,8 ათასი ლარი, შესრულებულია გეგმის 77,4 პროცენტი.

რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 98 700,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულებამ შეადგენა 34 578,8 ათას ლარს, შესრულებულია გეგმის 35,0 პროცენტი.

დასახელება	წლიური დაზუსტ. გეგმა	კვარტ. დაზუსტ. გეგმა	საკასო შესრულება	% შესრ. გეგმა/ ფაქტი	სხვაობა გეგმა/ფაქტი
შემოსულობები	481 509 650.0	481 509 650.0	441 969 996.7	91.8	-39 539 653.3
შემოსავლები	362 809 650.0	362 809 650.0	387 391 172.5	106.8	24 581 522.5
გადასახადები	350 000 000.0	350 000 000.0	377 682 194.5	107.9	27 682 194.5
საშემოსავლო გადასახადი	350 000 000.0	350 000 000.0	377 682 194.5	107.9	27 682 194.5
გრანტები	309 650.0	309 650.0	40 200.0	13.0	-269 450.0
სხვა შემოსავლები	12 500 000.0	12 500 000.0	9 668 778.0	77.4	-2 831 222.0
არაფინანსური აქტივების კლება	98 700 000.0	98 700 000.0	34 578 796.2	35.0	-64 121 203.8
ვალდებულებების ზრდა	20 000 000.0	20 000 000.0	20 000 000.0	100.0	0.0

II.ანგარიშზე არსებული ნაშთი

წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენდა **817 714.44 ათას ლარს.** ნაშთი წლის ბოლოსთვის შეადგენს **45 706 204.14 ათას ლარს.**

III. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები:

გადასახდელების კუთხით 2022 წლის გეგმა შეადგენდა 482 305 810,0 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 397 081 507,0 ათასი ლარი, ატვისებულია გეგმის 82,3 პროცენტი.

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	წლიური გეგმა	კვარტალური გეგმა	საკასო შესრულება	% შესრ. გეგმა/ ფაქტი	სხვაობა გეგმა/ ფაქტი
00	ჯამური	482 305 810.0	482 305 810.0	397 081 507.0	82.3	85 224 303.0

IV.რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების მუხლის შესრულება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2022 წლის ხარჯების მუხლის გეგმა შეადგენდა 369 085 805.0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა - 312 957 930.3 ათასი ლარი, გეგმის 84,0 პროცენტი.

მათ შორის:

დასახელება	წლიური დაზუსტ. გეგმა	კვარტ. დაზუსტ. გეგმა	საკასო შესრულება	% შესრ. გეგმა/ ფაქტი	სხვაობა გეგმა/ ფაქტი

ხარჯები	369 085 805.0	369 085 805.0	312 957 930.3	84.8	56 127 874.7
შრომის ანაზღაურება	43 228 796.0	43 228 796.0	42 314 399.2	97.9	914 396.8
საქონელი და მომსახურება	56 997 264.0	56 997 264.0	51 657 718.5	90.6	5 339 545.5
პროცენტი	664 806.0	664 806.0	495 451.9	74.5	169 354.1
სუბსიდიები	11 083 904.0	11 083 904.0	9 452 778.1	85.3	1 631 125.9
გრანტები	178 169 394.0	178 169 394.0	139 446 401.1	78.3	38 722 992.9
სოციალური უზრუნველყოფა	27 235 196.0	27 235 196.0	26 932 502.5	98.9	302 693.5
სხვა ხარჯები	51 706 445.0	51 706 445.0	42 658 678.9	82.5	9 047 766.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	109 870 615.0	109 870 615.0	81 145 101.6	73.9	28 725 513.4
ვალდებულებების კლება	3 349 390.0	3 349 390.0	2 978 475.2	88.9	370 914.8

V. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ათვისების მდგომარეობა მხარჯავი ორგანიზაციების მიხედვით

1.საბიუჯეტო ორგანიზაციები და დაწესებულებები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო -98.7%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია - 99.2%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 93.7%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 56.0%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - 87.0%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი - 86.3%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 89.8%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 99.0%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 87.8%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო - 98.6%.

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	წლიური გეგმა	კვარტალური გეგმა	საკასო შესრულება	% შესრ. გეგმა/ ფაქტი	სხვაობა გეგმა/ფ აქტი
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	5 809 548.0	5 809 548.0	5 734 654.3	98.7	74 893.7
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	778 600.0	778 600.0	772 152.9	99.2	6 447.1
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	4 233 230.0	4 233 230.0	3 968 550.7	93.7	264 679.3
04 01	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	32 891 268.0	32 891 268.0	18 409 267.9	56.0	14 482 000.1
04 13	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	13 375 000.0	13 375 000.0	11 634 733.4	87.0	1 740 266.6
04 14	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი	55 647 568.0	55 647 568.0	48 033 347.9	86.3	7 614 220.1

05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	82 413 248.0	82 413 248.0	74 031 461.0	89.8	8 381 787.0
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	34 057 352.0	34 057 352.0	33 714 227.9	99.0	343 124.1
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	20 905 049.0	20 905 049.0	18 352 211.5	87.8	2 552 837.5
07 12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	7 268 391.0	7 268 391.0	7 168 694.6	98.6	99 696.4

2. მხარჯავი საბიუჯეტო დაწესებულებების მიხედვით პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებების შესრულება დაბალი მაჩვენებლების მიხედვით:

კოდი	**დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**	**წლიური გეგმა**	**კვარტალური გეგმა**	**საკასო შესრულება**	**% შესრ. გეგმა/ ფაქტი**	**სხვაობა გეგმა/ფ აქტი**

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კუთხით**

04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო					
04 01	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	32 891 268.0	32 891 268.0	18 409 267.9	56.0	14 482 000.1
04 01 03	ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	4 276 979.0	4 276 979.0	2 312 192.2	54.1	1 964 786.8
04 01 03 02	სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	280 000.0	280 000.0	105 233.9	37.6	174 766.1
04 01 03 03	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება	1 074 916.0	1 074 916.0	424 843.8	39.5	650 072.2
04 01 03 04	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	2 922 063.0	2 922 063.0	1 782 114.5	61.0	1 139 948.5
04 01 04	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	18 656 000.0	18 656 000.0	9 192 403.1	49.3	9 463 596.9
04 01 06	საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	6 000 000.0	6 000 000.0	3 161 293.5	52.7	2 838 706.5
04 01 06 01	აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება	6 000 000.0	6 000 000.0	3 161 293.5	52.7	2 838 706.5
04 06	საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა	1 110 210.0	1 110 210.0	446 051.7	40.2	664 158.3

04 09	ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის	500 000.0	500 000.0	0.0	0.0	500 000.0

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის კუთხით:**

04 13	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი					
04 13 02	აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე	4 795 378.0	4 795 378.0	3 759 428.7	78.4	1 035 949.4
04 13 02 01	რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე	3 755 378.0	3 755 378.0	2 802 822.8	74.6	952 555.2
04 13 03	ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება	3 854 337.0	3 854 337.0	3 221 076.8	83.6	633 260.3
04 13 03 04	ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია	2 329 050.0	2 329 050.0	1 811 495.2	77.8	517 554.8

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის კუთხით:**

04 14	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი**					
04 14 02	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	53 792 069.0	53 792 069.0	46 359 640.1	86.2	7 432 428.9
04 14 02 01	გზების რეაბილიტაცია	23 321 070.0	23 321 070.0	19 043 352.3	81.7	4 277 717.8
04 14 02 02	ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	10 445 368.0	10 445 368.0	9 459 024.6	90.6	986 343.4
04 14 02 05	საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	20 025 631.0	20 025 631.0	17 857 263.3	89.2	2 168 367.7

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კუთხით:**

05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო					
05 03 03	საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება	938 901.0	938 901.0	374 075.6	39.8	564 825.4
05 06	აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება					
05 06 01	სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2 183 337.0	2 183 337.0	1 632 917.9	74.8	550 419.1

05 07	საჯარო სკოლების საპენსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა	1 558 796.0	1 558 796.0	944 155.0	60.6	614 641.0
05 07 01	საპენსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა	489 920.0	489 920.0	297 237.9	60.7	192 682.1
05 07 03	ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში	309 650.0	309 650.0	26 927.0	8.7	282 723.0
05 08	ზოგადი და პროფესიული განათლება	871 000.0	871 000.0	639 785.7	73.5	231 214.3
05 08 02	კონკურსები და ოლიმპიადები	406 000.0	406 000.0	268 743.8	66.2	137 256.2
05 10	უმაღლესი განათლება					
05 10 01	სტუდენტთა დახმარება	1 500 000.0	1 500 000.0	1 232 458.5	82.2	267 541.5
05 10 02	უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	640 000.0	640 000.0	510 334.5	79.7	129 665.5
05 14 10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია					
05 14 10 02	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	2 976 600.0	2 976 600.0	2 226 853.0	74.8	749 747.0
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	414 396.0	414 396.0	59 120.0	14.3	355 276.0

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კუთხით:**

07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო					
07 14	სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	2 513 640.0	2 513 640.0	814 936.9	32.4	1 698 703.1

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო**

07 12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო					
07 13	სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია	1 072 740.0	1 072 740.0	623 464.0	58.1	449 276.0

V. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების კუთხით გადასახდელების შესრულების მდგომარეობა:

კოდი	**დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**	**წლიური გეგმა**	**კვარტა. გეგმა**	**საკასო შესრულება**	**% შესრ. გეგმა/ ფაქტი**	**სხვაობა გეგმა/ფ აქტი**

09 00	**საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები**	**218 236 559.0**	**218 236 559.0**	**171 843 434.2**	**78.7**	**46 393 124.8**

1. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების გეგმა შეადგენდა - **99 660 649.0** ათას ლარს, ფაქტმა შეადგინა - **72 946 010.2** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმის 73,2 პროცენტი. მათ შორის:

09 01	ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	99 660 649.0	99 660 649.0	72 946 010.2	73.2	26 714 638.8
09 01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	55 599 900.0	55 599 900.0	37 322 772.7	67.1	18 277 127.3
09 01 02	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	16 697 112.0	16 697 112.0	12 557 589.4	75.2	4 139 522.6
09 01 03	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	8 179 558.0	8 179 558.0	7 409 947.6	90.6	769 610.4
09 01 04	ქედის მუნიციპალიტეტი	5 784 079.0	5 784 079.0	4 178 445.1	72.2	1 605 633.9
09 01 05	შუახევის მუნიციპალიტეტი	6 900 000.0	6 900 000.0	5 428 177.7	78.7	1 471 822.3
09 01 06	ხულოს მუნიციპალიტეტი	6 500 000.0	6 500 000.0	6 049 077.8	93.1	450 922.2

2. **ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების** გეგმა შეადგენდა - **73 497 347.0** ათას ლარს, ფაქტმა შეადგინა - **62 206 268.8** ათასი ლარი, ათვისებულია 84,6 პროცენტი. მათ შორის:

09 02	ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	73 497 347.0	73 497 347.0	62 206 268.8	84.6	11 291 078.2
09 02 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	59 599 233.0	59 599 233.0	49 979 578.9	83.9	9 619 654.1
09 02 02	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	7 147 657.0	7 147 657.0	5 991 565.4	83.8	1 156 091.7
09 02 03	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1 802 893.0	1 802 893.0	1 666 367.1	92.4	136 526.0
09 02 04	ქედის მუნიციპალიტეტი	1 241 011.0	1 241 011.0	1 108 254.8	89.3	132 756.2
09 02 05	შუახევის მუნიციპალიტეტი	1 038 234.0	1 038 234.0	997 702.8	96.1	40 531.2
09 02 06	ხულოს მუნიციპალიტეტი	2 668 319.0	2 668 319.0	2 462 799.9	92.3	205 519.1

3. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებამ შეადგინა - 40 647 165.0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა - 32 921 971.0 ათასი ლარი, ატვისებულია გეგმის 81,0 პროცენტი. მათ შორის:

09 03	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება	40 647 165.0	40 647 165.0	32 921 971.0	81.0	7 725 194.1
09 03 01	შპს აჭარის პროექტების მართვის კომპანია	29 725 619.0	29 725 619.0	24 481 135.2	82.4	5 244 483.8
09 03 02	შ.პ.ს. „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“	4 805 300.0	4 805 300.0	3 747 456.8	78.0	1 057 843.2
09 03 03	შ.პ.ს. "გოდერძი რესორტს"	675 920.0	675 920.0	636 655.1	94.2	39 264.9
09 03 04	სს"აჭარის წყლის ალიანსი"	4 290 326.0	4 290 326.0	2 978 444.8	69.4	1 311 881.2
09 03 05	შპს "ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"	1 150 000.0	1 150 000.0	1 078 279.1	93.8	71 720.9

4. სესხების მომსახურება:

09 06	სესხების მომსახურების ხარჯები	664 806.0	664 806.0	495 451.9	74.5	169 354.1
09 06 01	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	616 500.0	616 500.0	462 338.4	75.0	154 161.6
09 06 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	48 306.0	48 306.0	33 113.5	68.5	15 192.5

09 08	უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება	3 349 390.0	3 349 390.0	2 978 475.2	88.9	370 914.8
09 08 01	კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KFW) მიღებული სესხის დაბრუნება	1 608 390.0	1 608 390.0	1 326 781.6	82.5	281 608.4
09 08 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის დაბრუნება	1 741 000.0	1 741 000.0	1 651 693.6	94.9	89 306.4

5. და სხვა პროგრამების განხორციელება:

09 09	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსური უზრუნველყოფა	48 000.0	48 000.0	21 000.0	43.8	27 000.0
09 13	ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა	150 000.0	150 000.0	136 866.4	91.2	13 133.6

6. სარეზერვო ფონდი

2022 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან (გეგმა 15,5 მლნ. ლარი) გამოიყო 7 384,4 ათასი ლარი.

შენიშვნები და რეკომენდაციები:

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამების შესრულებაში გამოიკვეთა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- აღსანიშნავია რომ ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი დიდწილად ვერ შესრულდა არაფინანსური აქტივების კლების მუხლში. გეგმა-98,7მლნ. ლარი, ფაქტი 34,6 მლ. ლარი, შესრულებულია 35%-ით. აქედან გამომდინარე კომიტეტის მოსაზრებით აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეულია არაფინანსური აქტივების კლების მუხლის არარეალისტური დაგეგმვით, ასევე საპრივატიზაციო გეგმის არარსებობით.
- გადასახდელების ნაწილის შეუსრულებლობა დიდწილად გამოწვეულია მუნიციპალიტეტებზე გადაცემული ფინანსური დახმარების აუთვისებლობით. კომიტეტის მოსაზრებით, ნებისმიერი ფინანსური დახმარების გადაცემა მუნიციპალიტეტებზე უნდა მოხდეს რაციონალურად. გასათვალისწინებელია ტრანსფერის მასშტაბები, ტრანსფერის გაცემის პერიოდი, მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ პროექტების განხორციელება და აღნიშნული ტრანსფერების ათვისება.
- ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროექტები, რომლის განხორციელების რისკები არასათანადოდაა გაანალიზებული, შესაბამისად ასეთი პროექტების შეუსრულებლობის რისკი ძალიან მაღალია.
- ბიუჯეტში ბევრია პროექტი და პროგრამაა რომელთა შეუსრულებლობის ძირითად მიზეზად ვერ განხორციელებული ან/და პრობლემურად განხორციელებული შესყიდვების პროცედურები სახელდება, აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მხარჯავ დაწესებულებებში არასათანადოდ იგეგმება შესყიდვის პროცედურები.
- ბიუჯეტში ისეთი ინფრასტუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა, რომელთა პროექტებიც არ არის მზად შესყიდვების პროცედურების დასაწყებად, ზრდის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების რისკს.
- როგორც მოგეხსენებათ 2022 წელს ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილება, მიუხედავად ამისა პროგრამების განმახორციელებლების მხრიდან არ მოხდა ისეთი პროგრამების კორექტირება რომელთა განხორციელება მაღალი რისკის შემცველი იყო.
- მიზანშეწონილია, სათანადოდ იქნეს შესწავლილი ის პროგრამები/ქვეპროგრამები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო შესრულების დაბალი მაჩვნებელებით გამოირჩევა, მოხდეს გამომწვევი მიზეზების ანალიზი და მომდევნო წლების ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას აღნიშნული გარემოებები პროგრამების/ ქვეპროგრამების შეუსრულებლობის თავიდან ასაცილებლად.

VII დასკვნის გადაწყვეტილების ნაწილი

კომიტეტი თვლის, რომ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ ცნობილ იქნეს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

კომიტეტში შემოსულია უმაღლესი საბჭოს სხვა კომიტეტების დასკვნები.

დანართი: “ 6 “ ფურცელი

მარინე გვიანიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო